

SUMMARY

**Kardashvili T., Noniashvili M., Dvalishvili S.,
Tsitsiashvili Kh.**

KIDNEY INJURY IN COVID-19 PATIENTS

**TSMU, #3 DEPARTMENT OF INTERNAL MEDICINE;
THE FIRST UNIVERSITY CLINIC**

The purpose of the study: In this study, we aimed to investigate pathological changes in kidney function during the course of COVID-19 in patients who have never been diagnosed with kidney disease before and were hospitalized after at least 24 hours from the first symptoms of Covid-19.

Methods: In this retrospective study we collected and analyzed demographics, underlying diseases, signs, symptoms and laboratory data of 71 Covid-19 patients based on The First University Clinic database. All of them were hospitalized after at least 24 hours from the first symptoms of Covid-19. Patients were divided into three groups: mild, moderate and severe group. Kidney injury was evaluated by markers including estimated glomerular filtration rate(eGFR), serum creatinine and blood urea nitrogen.

Results: A total of 71 patients with 22 mild, 39 moderate and 10 severe COVID-19 were included in this study. During hospitalization, the level of creatinine was increased in 41% and blood urea nitrogen was increased in 15% of patients. Also, eGFR was decreased in 57% of patients. The average variable of eGFR was 46,7 mL/min/1,73m². The kidney injury markers, including eGFR, serum creatinine and blood urea nitrogen all worsened with an increase in disease severity. Acute kidney injury was not demonstrated in either of the patients age groups.

Conclusion: Worsened eGFR, serum creatinine and blood urea nitrogen levels in patients, who have never been diagnosed with kidney disease before and have Covid-19 symptoms for more than 24 hours, show that altered kidney function is associated with SARS-CoV-2. Although, it is necessary to determine new biomarkers of kidney injury in COVID-19 patients to establish an optimal treatment strategy.

შაშიაშვილი ნ., დუღაშვილი ნ., კვიჭინაძე ნ.,
ნიკურაძე ნ., კირტავა ს.

მომხარებლის პასუხისმგებლობის ფაქტორის გავლენა რაციონალურ ფართოების გარეშემოყვარების

თსს, სოციალური და კლინიკური ფარმაციის
დეპარტამენტი

კვლევის აქტუალობა
თერაპიულ ურთიერთობათა ჯაჭვი მოიცავს 3 ძირითად რეალობს: ექიმი, ფარმაცევტი, პაციენტი. რაციონალური მეურნალობისთვის მნიშვნელოვანია თოთოეულმა მათგანმა გაიაზროს თავისი წილი პასუხისმგებლობა.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერჩატარე-

ბულმა კვლევებმა ცხადყო, რომ მედიკამენტებზე მოსახლეობა თავისი შემოსავლიდან საკმაოდ სოლი-დურ თანხას ხარჯავს. ეს გამონვეულია არა მხოლოდ წამლის მაღალი ფასით, არამედ სამკურნალო საშუალებების არამიზნობრივი და ჭარბი გამოყენებით. დადგენილია, რომ არარაციონალური თვითმეურნალობა არაეფექტურია ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად [4,5,6].

საქართველოში, სოციალური და ეკონომიკური ფაქტორის გათვალისწინებით, როდესაც ადამიანს სამედიცინო დახმარებას სჭირდება, მაგრამ ექიმთან კონსულტაციას ვერ ახერხებს, იგი დახმარებისთვის მიმართავს აფთიაქს და ყიდულობს მედიკამენტს საკუთარი გადანებულებით ან ფარმაცევტის რჩევით. საქართველოში გაზრდილია თვითმეურნალობისა და პოლიპრაგმაზის შემთხვევები, განსაკუთრებით, ხანდაზმული და ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტებში [1,2,3].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აქტუალურია, განისაზღვროს რამდენად მაღალია მომხმარებლის პასუხისმგებლობა წამლით მეურნალობის პროცესში; შეფასდეს რაციონალურ ფარმაკოთერაპიასთან დაკავშირებული ძირითადი ასპექტები, როგორიცაა პოლიპრაგმაზია და თვითმეურნალობა, პაციენტის ცნობიერების დონე დაავადებასთან და სამკურნალო საშუალებებთან მიმართებით.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა მომხმარებლის პასუხისმგებლობის ფაქტორის გავლენის განსაზღვრა რაციონალურ ფარმაკოთერაპიაზე.

კვლევის ამოცანები, საგანი და მეთოდიკა

კვლევის ნაწილი განხორციელდა 2 ეტაპად.

პირველ ეტაპზე ჩატარდა ქალაქ თბილისის 10 აფთიაქში (2 “პაც”, 2 “ავერსი”, 4 “გეფა” და 2 არაქსელური) 100 მომხმარებლის პირისპირ გამოკითხვა თვითმეურნალობასთან (დანიშნულების გარეშე ფარმაცევტული პროდუქტის შეძენის შემთხვევაში) დაკავშირებული ასპექტების შესაფასებლად.

მეორე ეტაპზე განხორციელდა იგივე აფთიაქში რეცეპტის (დანიშნულების) მქონე 100 მომხმარებლის პირისპირ გამოკითხვა და წარმოადგენილი დანიშნულების გაანალიზება და შეფასება. გამოკითხვა ჩატარდა სპეციალურად შედგენილი კითხვარით, რომლის შევსების ტექნიკა და ზოგადად კვლევის მიზანი, რესპონდენტებს განემარტათ ამომწურავად, რაციონალური თვითმეურნალობის პროცესში მომხმარებლის პასუხისმგებლობისა და აფთიაქისა და ექიმის ჩატარების ხარისხის შესაფასებლად. გამოკითხვაში ჩატარების განვითარებით და დაცული იყო მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებები.

კვლევის შედეგები და დასკვნები

კვლევის პირველი ეტაპზე გამოკითხულ პაციენტთა ასაკი მერყეობდა 18 -დან 70+ წლის ასაკის ფარგლებში, მათგან 32% იყო 56-70 წლის.

დასმულ შეკითხვებზე:

- რატომ მიმართავთ თვითმეურნალობას?
- ვისი რეკომენდაციით იძენთ მედიკამენტს თვითმეურნალობისას?
- თვითმეურნალობის შემთხვევაში, ფლობთ თუ არა ინფორმაციას წამლის დოზირების, მიღების წესის, კურსის ხანგრძლივობის, გეერდითი ეფექტების

შესახებ?

• მიუთითეთ ჩივილები, რომლის დროსაც ყველაზე ხშირად მიმართავთ თვითმკურნალობას;

• გამოგიყენებიათ თუ არა რეცეპტით გასაცემი სამკურნალო საშუალება ექიმის დანიშნულების გარეშე? დადებითი პასუხის შემთხვევაში, მიუთითეთ ქვემოთ ჩამოთვლილი რომელი ფარმაკოლოგიური ჯგუფის რეცეპტით გასაცემი სამკურნალო საშუალება გამოგიყენებიათ ექიმის დანიშნულების გარეშე?

• მიგაჩინათ თუ არა, რომ რეცეპტით გასაცემი მედიკამენტების გამოყენება ექიმის დანიშნულების გარეშე წარმოადგენს რისკს ადამიანის ჯანმრთელობისთვის და მისი სიცოცხლისთვის?

გამოკითხვის შედეგად მიღებული შედეგების საფუძველზე გამოიკვეთა ის ძირითადი მიზეზები, რომლის გამოც მიმართავენ პაციენტები თვითმკურნალობას: საკუთარ ჯანმრთელობაზე თავად ზრუნვის სურვილი (44%), სოციალური პირობები (29%), ფარმაცევტის მიმართ მაღალი ნდობა (17%), მედიკამენტებთან შეუზღდულავი წვდომა (10%). გამოკითხულთა უმეტესი წანილი (43%) თვითმკურნალობისას, მედიკამენტს იძენს ფარმაცევტის ჩერვით, 20% ინფორმაციას იღებს ინტერნეტის დახმარებით, 19% - რეკლამის საფუძველზე და 18% - ახლობლის გამოცდილებით. ამსთან, 51%-მა დააფიქსირა, რომ თვითმკურნალობის შემთხვევაში, წამლის შესახებ ინფორმაციას ფლობდა არასრულად.

გამოვლინდა ძირითადი ჩივილები, რომლის დროსაც მიმართავენ თვითმკურნალობას: გრიპი/გაციება, ალერგია, უძილობა/შფოთვა/ზოუსვენრობა, წელის/თავის/სახსრების ტკივილი;

გამოკითხულთა უმრავლესობა (84%) იშვიათად იყენებს რეცეპტით გასაცემ მედიკამენტს ექიმის დანიშნულების გარეშე და აქვს გაცნობიერებული რისკები (77%). რესპონდენტთა 23% უერაცნობიერებს რისკებს, რაც ძალიან საყურადღებოა. გამოკითხული პაციენტების 23% უფრო ხშირად იყენებს ანტიბიოტიკებს (42%) და ანტიდეპრესანტებს (23%) ექიმის დანიშნულების გარეშე.

კვლევის მეორე ეტაპზე გამოკითხულ მომხმარებელთა ასაკი, ამ შემთხვევაშიც, მერყეობდა 18-70+ წლის ასაკის ფარგლებში. მათ 47%-ს შეადგენდა 56-70 წლის პაციენტები.

დასმულ შეკითხვებზე:

• თუ ხართ სრულად ინფორმირებული თქვენი დიაგნოზის შესახებ?

• რამდენი დასახელების მედიკამენტი გაქვთ დანიშნული დროის ერთსა და იგივე პერიოდში მისაღებად?

• ორი და მეტი მედიკამენტის დანიშვნის შემთხვევაში, თუ ფლობთ ინფორმაციას მათ თავსებადობაზე?

• რეცეპტით გასაცემი მედიკამენტის მიღებისას, ფლობთ თუ არა ინფორმაციას წამლის დოზირების, მიღების წესის, კურსის ხანგრძლივობის, გვერდითი ეფექტების შესახებ?

• დადებითი ან წანილობრივ დადებითი პასუხის შემთხვევაში, ვისგან იღებთ ინფორმაციას წამლის დოზირების, მიღების წესის, კურსის ხანგრძლივობის, გვერდითი ეფექტების შესახებ?

• გაქვთ თუ არა ექიმის საკონტაქტო ინფორმაცია, საჭიროების შემთხვევაში რომ დაუკავშირდეთ?

• ელექტრონულ რეცეპტის სავალდებულო წესით შემოღება თქვენთვის უფრო კომფორტულია, თუ შეგიქმნათ პრობლემა?

გამოკითხვის შედეგად მიღებული შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა უმეტესი წანილი (92%) სრულად არის ინფორმირებული დასმული დიაგნოზის შესახებ და აქვს ექიმის საკონტაქტო ინფორმაცია (90%). კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულთა 29%-ს დროის ერთსა და იმავე ჰერიოდში დანიშნული აქვს 4-ზე მეტი დასახელების მედიკამენტი, რაც პოლიპრაგმაზიის რისკს წარმოადგენს და საჭიროებს დანიშნულების სილრმისეულ შესწავლას შესაბამისი კომპეტენტური ორგანოებისა და სპეციალისტების მიერ. რეცეპტით გასაცემი მედიკამენტის მიღებისას, გამოკითხული პაციენტების 40% არასრულად, ხოლო 3% საერთოდ არ ფლობს ინფორმაციას წამლის დოზირების, მიღების წესის, კურსის ხანგრძლივობის, მათი გვერდითი ეფექტების შესახებ, ვერ იღებს ინფორმაციას სხვა მედიკამენტებთან თავსებადობის შესახებ (48%); დადებითი პასუხის შემთხვევაში (52%), ინფორმაციას ძირითადად იღებენ ექიმისგან (89%).

ელექტრონული რეცეპტების შემოღებას 43%-თვის არ შეუქმნია პრობლემა. აღნიშნული პასუხი, სავარაუდოდ, გამოვეულია იმით, რომ მომხმარებელი მაინც ახერხებს შეიძინოს რეცეპტით გასაცემი მედიკამენტი ექიმის დანიშნულების გარეშე.

დამატებით გამოიკვეთა, რომ:

• მომხმარებლებს სურთ აფთიაქში ჰქონდეთ პირველადი დახმარების მიღების, ელექტრონული რეცეპტის ადგილზე გამოწერის და წამლის დამოუკიდებელ გამოყენებაზე ინდივიდური კონსულტაციის მიღების შესაძლებლობები;

• მნიშვნელოვანია, პაციენტს მიეწოდოს ინფორმაცია თვითმკურნალობის რისკების და რაციონალური თერაპიის მნიშვნელობის შესახებ.

ლიტერატურა:

- ზ. ჭანტურია „სათანადო (კარგი) სააფთიაქო პრაქტიკის (GPP) დანერგვის პერსპექტივები საქართველოში“ 2015 წ.

- ჭუბურიძე თ., ნემსინვერიძე ნ., შუბითიძე დ., ე. ფრუნიძე, ნ. კვიუჩაძე „ფარმაცევტული ზრუნვა“, სახელმძღვანელო, 2019 წ.

- <https://www.moh.gov.ge/uploads/files/2021/-Regulirebis-saqmiani-angarishi-20-21.pdf>.

- De Barra M, Scott CL Scott NW, Johnston M, de Bruin M, Bond CM, Matheson CI, Williams AJ, Watson MC, /Pharmacist services for non-hospitalised patients/, Cochrane Database of Systematic Review, 2018.

- WHO Benchmarks for International Health Regulations (IHR) Capacities ISBN 978-92-4-151542-9. Geneva: WORLD HEALTH ORGANIZATION 2019. (<https://apps.who.int/iris/bitstream/handle/10665/311158/9789241515429-eng.pdf>).

- World Health Organization strategy (2022-2026) for National Action Plan for Health Security ISBN 978-92-4-006154-5 (electronic version.), ISBN 978-92-4-006155-2 (print version) © World Health Organization 2022. 9789240061545-eng.pdf

SUMMARY

**Shashiashvili N., Dugashvili N., Kvizhinadze N.,
Nikuradze N., Kirtava S.**

INFLUENCE OF THE USER RESPONSIBILITY FACTOR ON RATIONAL PHARMACOTHERAPY

TSMU, SOCIAL AND CLINICAL PHARMACY DEPARTMENT

The chain of therapeutic relationships includes 3 main links: doctor, pharmacist, patient. For a rational treatment, it is important that each link understands its share of responsibility. Currently, self-medication and polypharmacy are actual problems, so we considered it necessary to carry out a study, according to which it will be possible to highlight the main aspects related to rational pharmacotherapy.

The user turns to self-medication mainly due to a social problem and the desire to take care of his own health; In the case of self-medication, the user obtains the medicine mainly on the advice of a pharmacist or a relative. The main complaints, during which the user turns to self-medication, are flu and cold, allergy, back/head/joint pain, heartburn; When analyzing a doctor's prescription, the simultaneous appointment of 3-4 or more medications is generally observed. The exact period/frequency of reception is not explained to the patient;

In relation to the transition to electronic prescription, the following was highlighted: the mentioned regulation has not had a big impact so far, as the consumer is free to purchase prescription medicine without a prescription;

In connection with the additional service in the pharmacy, the desire of the customers was highlighted - the possibility of providing first aid in pharmacies and prescribing electronic prescriptions on the spot.

რკომა და ავთვისებიანი ჰემანგიოენდოთელიომა. ღვიძლის პირველადი ავთვისებიანი სიმსივნეების კლინიკური ნიშნები ძალიან მწირი და არასპეციფიკურია (3), არ ახასიათებს პროცესის ლოკალური გამოვლინება, ხოლო შემდგომ სიმპტომების ინტენსიურობა სწრაფად იზრდება. ავადმყოფები უჩივიან ძლიერ ზოგად სისუსტეს, უმადობას, გულისრევას და წონაში კლებას, მოგვიანებით ჩივილებს ემატება ადინამია, დეპრესიული მდგომარეობა და გაღიზიანება-დობა; იკვეთება ყრუ ტკივილები მარჯვენა ფერდქვეშა სივრცეში, ღვიძლი ზომებში იზრდება და მისი კონტურები ხდება ხორკლიანი. სოლიტარული და დიფუზური ფორმის ღვიძლის პირველადი კარცინომების დროს აღინიშნებოდა შემდეგი კლინიკური სიმპტომები: ავადმყოფები, სოლიტარული დაზიანების ფორმით, უჩიოდნენ ტკივილს, სიმძიმის შეგრძნებას, შებერილობას ფერდქვეშა და ეპიგასტრიუმის არეში, უმადობას, ადვილად დაღლას, წონაში სწრაფ კლებას. ხოლო ავადმყოფები ღვიძლის პირველადი კიბოს დიფუზური ფორმის დროს უჩიოდნენ სუბფებრილიტეტს, მუდმივი ყრუ ხასიათის ტკივილს მარჯვენა ფერდქვეშ. პალპაციით აღენიშნებოდათ ღვიძლის ზომების გადიდება, ხორკლიანობა და ასციტი. ღვიძლის პირველადი კიბოს კომპიუტერულ-ტომოგრაფიული (კტ) სემიოტიკის განხილვით: სიმსივნის ძირითადი კერა შესაძლებელია იყოს 6-დან 20 სმ-მდე. ორგანოს შიდა მეტასტაზი ისახება მომრგვალო ფორმის დამატებითი პათოლოგიური კერის სახით, ზომით 3 სმ-მდე. აქედან გამომდინარე, აღნიშნული კრიტერიუმები არ იძლევა საშუალებას გავარჩიოთ ღვიძლის პირველადი კიბოს სხვა დანარჩენი კეროვანი დაზიანებისგან. ღვიძლის პირველადი კიბო დენსიტომეტრიული მონაცემებით, 15-20 ერთ. ჰაფსვილდით უფრო ნაკლებია ჯანსაღ პარენქიმასთან შედარებით, რის გამოც ის მკაფიოდ ვიზუალიზდება კტ-ით კვლევის დროს. ზოგიერთ შემთხვევაში, ჰეპატოცელულური კარცინომის სიმკვრივე უმნიშვნელოდ ან თითქმის არ განსხვავდებოდა ღვიძლის სხვა დანარჩენი პარენქიმისგან, რაც იყო განპირობებული სიმსივნის სტრუქტურით და მის გარშემო არსებული ღვიძლის პარენქიმის მდგომარეობით, რაც მნიშვნელოვნად აუარესებდა სიმსივნის ვიზუალიზაციას, რომლის კონტურები, განსაკუთრებით ციროზული ღვიძლის და ცხიმოვანი დისტრიბუტორის დროს, შესაძლებელია პრატიკულად არ ისახებოდეს (კიბო-ციროზი). პირველად კიბოს არსებობაზე მიანიშნებდა მცირე ნეკროზული უბნების გამოვლენა სიმსივნურ კვანძში, ასევე მეტასტაზების დიაგნოსტირება ღვიძლის კარში. ცრუ-დადებითი ჰასუხების გამოსარიცხად აუცილებელი ხდება ინტრავენური ბოლუსური კონტრასტული გაძლიერება, დინამიკური მულტიფაზური სკანირებით, რაც გვეხმარება ავთვისებიანი სიმსივნის დაზუსტებით დაიგნოსტიკაში. ინტრავენური კონტრასტირება ხდება ავტომატური ინჟექტორის საშუალებით, 4,0-5,0 მლ/წამში სიჩქარით, რომლის დროსაც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საკონტრასტო ნივთიერების მოცულობა პაციენტის ორგანიზმის ერთ კილოგრამაზე 2 მლ ღვიძლის პირველადი სიმსივნური კერები, განსხვავებით ჯანსაღი პარენქიმისგან, ხასიათდება გაძლიერებული არტერიული სისხლმომა-

შელია ვ., ურუშაძე ო.

ღვიძლის პირველადი კიბოს კლინიკური და კომპიუტერულ-ტომოგრაფიული სიმძოლების პირველი განვითარების სიმძოლები

თსსუ, რეალიზაციის დაპარაგენტი

ღვიძლის პირველად ავთვისებიან სიმსივნურ დაზიანებებს შორის ყველაზე ხშირად აღინიშნება ღვიძლის პირველადი კიბო (1,2).

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ღვიძლის პირველადი კიბოს კლინიკური და კომპიუტერულ-ტომოგრაფიული სიმპტომატიკის და ძირითადი დიფერენციულ-სადიაგნოსტიკო კრიტერიუმების შეფასება.

კვლევის ფარგლებში შესწავლილი 200 პაციენტიდან ღვიძლის პირველადი კიბო დიაგნოსტიკიდა 138 შემთხვევაში. გაცილებით იშვიათად, 5%-ში, გამოვლენილ იქნა ღვიძლის ავთვისებიანი სიმსივნეების სხვა ნოზოლოგიური ფორმები - ღვიძლის კარცინოსა-